ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1255303

ნომერი: AR1217491

თარიღი : 05.05.2014

გაცემის თარიღი : 07.05.2014

გაცნობის თარიღი : 22.05.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქ. თბილისი, ნუცუბიძის II მ/რ, #3ა;

დამკვეთი-განმცხადებელი

- თამაზი შაკიაშვილი პ/ნ 13001002399
- თბილისი ვარკეთილი 3 IV მ/რ კორ. 421 ბ. 27

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ღია სეზონური საზაფხულო კაფის მოწყობა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისადა სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების, ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის05 ივნისის №6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის“ თანახმად

გადაწყვეტილება

სამსახურმა განიხილა თქვენი AR1217491 05.05.2014 განცხადება ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის II მ/რ #3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: #01.14.02.016.008 გარე ვაჭრობის განხორციელების მიზნით დროებითი სტატუსის მქონე საზაფხულო კაფეს მოწყობის მიზნით წერილობითი ნებართვის გაცემის თაობაზე და გაცნობებთ შემდეგს:

,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების მუხლი #66-ის პუნქტი #6-ის და მუხლი #17-ის პუნქტი #2-ის (საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა), შესაბამისად გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, ვაკის რაიონში, ნუცუბიძის II მ/რ #3ა-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: #01.14.02.016.008 ღია საზაფხულო კაფეს მოსაწყობად 2015 წლის 10 მაისამდე წარმოდგენილი ესკიზის და ფოტო მონტაჟის შესაბამისად.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge